

განხილულია პედაგოგური
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 7 28.06.24



„ვამტკიცებ“

სკოლის დირექტორი

ალ. ჯავახიშვილი

03.07. 2024

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

2024 წელი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“ -

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე

ზოგადი დებულება

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საქართველოს სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია. ფოკუსი მასწავლებელთა დახელოვნების კუთხით გადადის სკოლის პირობებში პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა განვითარება წარმოადგენს პედაგოგებსა და საგანმანათლებლო ლიდერებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მიმართულია სწავლისა და სწავლების კონკრეტული ამოცანებისა და გამოწვევების გადაჭრაზე და ამ მიმართულებით მასწავლებელთა ცოდნისა და პროფესიული უნარების განვითარებაზე.

დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება განიხილება, როგორც სასკოლო ცხოვრების და პედაგოგიური საქმიანობის ორგანული ნაწილი, როდესაც სწავლების კვალდაკვალ პედაგოგი ინდივიდუალურად თუ კოლექტურად თანამშრომლობით ახორციელებს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, იღებს უკუკავშირს, გეგმავს გაუმჯობესების გზებს და ერთვება სხვადასხვა სახის პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და კონსულტირების პროცესებში. პროფესიული განვითარების გააზრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული მასწავლებლის, არამედ პედაგოგიური კოლექტივის დონეზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია პროფესიული გამოწვევების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრის გზების ძიება ხორციელდებოდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტურად გარკვეული ჯგუფების მიერ გაზიარებულ თუ მთლიანად სკოლის საერთო საჭიროებათა სიბრტყეში.

ამგვარი პრაქტიკის დანერგვა უკავშირდება, ერთი მხრივ, გარკვეულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს:

- სამუშაოს აღწერილობებისა და ფუნქციური დებულებების შექმნა
- სასწავლო პროცედურებისა და ინსტრუქციების გაცნობა
- თემატური მიმართულებით თანამშრომლობითი სამუშაო ჯგუფების ორგანიზება
- ინტენსიური კომუნიკაციის შესაძლებლობა უშუალოდ მასწავლებლებს შორის, პროფესიული დამოკიდებულებისა და მოტივაციის საკითხებზე, კვლევითი კომპეტენციების განსავითარებლად, თანამონაწილეობითი და ინსტრუქციული ლიდერობის განმტკიცებისათვის და სხვა.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პრაქტიკის დანერგვისა და შესაბამისი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისათვის, რაც დაეხმარება სკოლას სათანადო სამუშაო პროცესის ორგანიზებაში და გულისხმობს სკოლის პერსონალის განვითარების საჭიროებების განსაზღვრას, მათ შეჯერებას და დანერგვას, შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად და უზრუნველსაყოფად ქმნის "მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სასკოლო გეგმას".

უწყვეტი პროფესიული განვითარება

ახალმა ათასწლეულმა ცხოვრების ყველა სფერო ძირეულად შეცვალა. მოთხოვნების შესაბამისად იცვლება ზოგადი განათლების მიზნებიც და მასწავლებლებიც უფრო მეტი გამოწვევის პირისპირ დგანან. უახლეს კვლევებში არაერთხელ იქნა ხაზგასმული მასწავლებელთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელოვნება.

- უწყვეტი პროფესიული განვითარება მასწავლებელთა აკადემიური კარიერის განვითარებაზე ზრუნვის ახალი ფორმაა
- პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გრძელდება მთელი აკადემიური ცხოვრების მანძილზე
- მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს თუ რა ესაჭიროება პროფესიული განვითარებისათვის
- პროფესიონალები გამუდმებით უნდა ეძებდნენ გზებს, გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს და გაიუმჯობესონ სამუშაო პრაქტიკა.
- მასწავლებლები პასუხისმგებლები არიან დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია განათლებაში დასაქმებული პროფესიონალების მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის“ III თავის (პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკა“ მე-9 მუხლის (თვითგანვითარებაზე ზრუნვა) შესაბამისად, „თვითგანვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს:

ა) პროფესიული განვითარების მიზნით თვითშეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას;

ბ) თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების დაგეგმვასა და განხორციელებას.“

აღსანიშნავია ისიც, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას ერთხმად აღიარებენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი პროფესიონალები. ამკარაა, რომ ზრდა და განვითარება არასდროს არ უნდა შეწყდეს, განსაკუთრებით კი ისეთ ცვალებად სამყაროში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ. და მაინც, რა კომპონენტების ერთობლიობა განაპირობებს ხარისხიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებას?

უწყვეტი პროფესიული განვითარების მთავარი მახასიათებლები:

თვითრეფლექსია. მასწავლებელი მუდმივად უნდა ახდენდეს საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, რათა განსაზღვროს ის სფეროები, რომლებშიც უფრო მეტი მუშაობა სჭირდება. სწორედ ამგვარად შეძლებს მასწავლებელი, უკეთ გააცნობიეროს საკუთარი პრაქტიკა და/ან მისი ეფექტიანობა მოსწავლეებზე. მხოლოდ საკუთარი სწავლების პრაქტიკაში მუდმივი ჩაღრმავება ქმნის განვითარების წინა პირობას.

დაგეგმვა. ყველა მასწავლებელი თვითონ არის პასუხისმგებელი, დაგეგმოს საკუთარი განვითარების გზა დამოუკიდებლად ან იმ ადამიანთან ერთად, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კოორდინირება. პროფესიული განვითარების დაგეგმვა ეხმარება მასწავლებელს, ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი პრაქტიკის სპეციფიკურ ასპექტებზე და არა, უბრალოდ, დაესწროს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებსა თუ სესიებს ფორმალური მოთხოვნების შესასრულებლად. ცხადია, საკუთარი განვითარების დაგეგმვა მასწავლებელს ამავე განვითარების შეფასებაში დაეხმარება.

სატრენინგო შესაძლებლობების მრავალფეროვნება. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, თვითონ განსაზღვრონ, რას ამოირჩევენ მათთვის შეთავაზებული სხვადასხვა აქტივობიდან. ტრენინგები მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც ისინი ერთნაირად შეესაბამება ინსტიტუციურ და მასწავლებელთა პირად საჭიროებებს.

გამოცდილება პროფესიული განვითარების სხვა ფორმებზე. თუ მოხდა ისე, რომ პროფესიული განვითარებისათვის შეთავაზებული აქტივობები არ პასუხობს მასწავლებელთა სწავლების სფეროში წამოჭრილ კითხვებს, მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, თვითონ მოიძიონ პასუხები ამ კითხვებზე. მათ უნდა შეეძლოთ მცირემასშტაბიანი კვლევების ჩატარება, არსებული გამოცდილებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცნობა და ურთიერთგაზიარება, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და ურთიერთდაკვირვების განხორციელება და ა.შ.

ახალმიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება. ნებისმიერი ტიპის სატრენინგო კურსებზე დასწრება სრულიად უსარგებლოა როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, თუ არ მოხდა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აუცილებელია მასწავლებელთა წახალისება, რათა მათ ობიექტურად შეაფასონ, როგორ გამოიყენეს მიღებული ცოდნა და ისიც, რადენად ეფექტიანი იყო ახალი პრაქტიკა, იდეა თუ აქტივობა მოსწავლეებთან მუშაობისას.

შეფასება. უწყვეტი პროფესიული განვითარება გარკვეულწილად გულისხმობს მასწავლებლის ზოგადი პროფესიული განვითარების ეფექტიანობას და მის ჩართულობას სატრენინგო პროგრამებში, ეხმარება მასწავლებელს იმის გაცნობიერებაში, მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს და რა გავლენას ახდენს განსაზღვრული მიზნის მიღწევა მის მოსწავლეებზე. ამ პროცესების შეფასება სკოლას ეხმარება, უკეთ შეაფასოს პერსონალის განვითარება, რათა ის შემდგომ უფრო გაძლიერდეს და განვსაზღვროთ, რა ეფექტი აქვს მის მიერ მიღებულ ან/და დამუშავებულ ინფორმაციას სწავლების პროცესში. ამ მიზნით სკოლა შეიმუშავებს სასკოლო კრიტერიუმებს მასწავლებელთა შეფასებისათვის და ქმნის საშუალებას თვითშეფასებისათვის.

აღიარება და დაჯილდოება. სკოლა ქმნის გარე მამოტივირებელ ფაქტორს, რომელიც წახალისებს და გაააქტიურებს მასწავლებლებს. ეს შესაძლებელია იყოს: ხელფასის მომატება, კარიერული დაწინაურება, მორალური ან მატერიალური ჯილდო, სატრენინგო პროგრამების უფასოდ გავლის საშუალება და ა.შ. სკოლა წახალისებს და აღიარებს მასწავლებლების ძალისხმევას, იზრუნონ თვითგანვითარებაზე.

სხვადასხვა მხარის ჩართულობა. უდავოა, რომ არც უწყვეტი პროფესიული განვითარება და არც სატრენინგო პროგრამებში ჩართულობა არ წარმოადგენს მხოლოდ მასწავლებლის პასუხისმგებლობას – ეს სკოლის, საზოგადოებისა და მთელი სისტემის პასუხისმგებლობაა. ამასთან, ხარისხიანი უწყვეტი პროფესიული განვითარება, სატრენინგო პროგრამების ჩათვლით, უპირველესად არის სკოლის ინტერესი. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, უზრუნველყოფს თანამშრომლობითი და ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულებების დამკვიდრებას. პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება ძლიერი შესაძლებლობაა საკუთარი სწავლების პრაქტიკაზე დაკვირვებისათვის და თვითგანვითარებისათვის.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ კომპონენტების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს მასწავლებელთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარება და შემდგომ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და მოსწავლეთა სასწავლო შედეგების ანალიზი.

სკოლის ხედვის შესაბამისად, „იყოს მუდმივად განვითარებადი და ღირებულებებზე დაფუძნებული უსაფრთხო სკოლა, რომლისთვისაც პრიორიტეტულია პიროვნული განვითარება, სწავლის მაღალი ხარისხი, აქტიური მოქალაქეობრივი მრწამსი და საზოგადოების მაღალი ნდობა...“ სკოლა ალბიონის ხარისხის მართვის ჯგუფი და საგნობრივი კათედრები შეიმუშავებენ პროფესიული განვითარების პროგრამებს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ საკუთარ მიზნებთან, სკოლის მისიასა და ხედვასთან. გარდა იმისა, რომ პროფესიონალები გამუდმებით უნდა ეძებდნენ გზებს, გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს და გაიუმჯობესონ სამუშაო პრაქტიკა, მასწავლებელი თვითონ განსაზღვრავს საჭიროებებს და სახავს მათი დაკმაყოფილების საშუალებებს;

ქვეყანაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია:

1. მასწავლებლებისთვის წამახალისებელი და მხარდამჭერი გარემოს შექმნა;
2. მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დეცენტრალიზება
3. პროცესების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა;

პროცედურები, რომელთა გათვალისწინებითაც სკოლა შეიმუშავებს სკოლის ბაზაზე უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმას:

1. თანამოაზრეთა გუნდის ფორმირება;
2. მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა თვითშეფასებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით;
3. საჭიროებათა ანალიზი;
4. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა;
5. დაგეგმილი აქტივობების პრაქტიკაში განხორციელების თვითშეფასება;
6. სასწავლო პრაქტიკის მონიტორინგი;
7. მოსწავლეთა სასწავლო შედეგების ანალიზი;
8. გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის.

პროფესიული განვითარების სტანდარტებიდან სკოლა გამოყოფს ძირითად პრიორიტეტებს:

1. პროფესიული განვითარება, როგორც სტრატეგიული განვითარების ნაწილი, პრიორიტეტულია სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივისათვის.
2. პროფესიული განვითარება დამყარებულია მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობებზე.
3. პროფესიული განვითარება ორიენტირებულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და შეფასებაზე.
4. ეფექტიანი პროფესიული განვითარება გულისხმობს ტრენინგებს როგორც საწყის ეტაპზე, ასევე შემდგომ დახმარებას პრაქტიკაში გადატანისა და პროცესის შეფასებისათვის.
5. პროფესიული განვითარება გარდა ტრენინგებისა მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს და საშუალებებს (ლიტერატურის განხილვა, გამოცდილებების გაზიარება, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და თანმდევ აქტივობები, როგორცაა ერთობლივი დაგეგმვა, საგაკვეთილო გეგმის განხილვა, რესურსებისა და აქტივობების ერთობლივად შერჩევა, შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და კრიტერიუმების შერჩევა და ა.შ.).
6. პროფესიული განვითარება ემყარება ურთიერთთანამშრომლობას და კოლეგებთან ექსპერტულ ურთიერთობებს.
7. ჩვენი მიზანია პროფესიული განვითარების სასკოლო სისტემის შექმნა, რომელიც წახალისებს მუდმივ სწავლას, დაკვირვებას და პრაქტიკაში გამოყენებას.
8. პროფესიული განვითარების თვალსაზრისით კარგი მოდელია სასწავლო ჯგუფები და პროფესიული სასწავლო თემები, სადაც მასწავლებელი თანამშრომლობს მცირე, არაიერარქიულ ჯგუფებში, რათა ფოკუსირდეს კონკრეტულ საკითხზე, მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს დახმარებისა და საკლასო დაკვირვების გზით.
9. სკოლის დირექცია საკუთარი პროფესიული გამოცდილების საფუძველზე, ახორციელებს კოლეგების მხარდაჭერას მათი პროფესიული საქმიანობების იდენტიფიცირების, განვითარების ღონისძიებების შერჩევისა და განხორციელების პროცესში;
10. სკოლა ზრუნავს, რომ პროფესიული განვითარება იყოს ინკლუზიური, ორიენტირებული და პასუხისმგებელი პერსონალის ყველა საქმიანობაზე.

დანართი N1

**მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სასკოლო გეგმა
2024-2025 სასწავლო წელი**

NN	პედაგოგთა ჯგუფი	საჭიროება	გამოყენებული მეთოდი	რეფლექსია: მოსწავლეთა შედეგები. როგორ იმოქმედა აქტივობამ მოსწავლეებზე?	კოლეგის უკუკავშირი

პროფესიული განვითარების პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი :

1. დარწმუნდით, რომ ის საჭიროებაზე მორგებულია;
2. დარწმუნდით, რომ ის მხარდაჭერილია;
3. შეუსაბამეთ ის სკოლის მისიას და ხედვას;
4. შექმენით მხარდაჭერის პოზიტიური ატმოსფერო ყველა თანამშრომლისთვის;
5. ზოგჯერ საუკეთესო პროფესიული განვითარება კოლეგებთან საუბარია;
6. განჭვრიტეთ კლიმატის ცვლილებები – პერსონალის ბრუნვა, დრო, ლიდერობის მხარდაჭერა; იყავი პროაქტიული;
7. გამოყავით სივრცე და დრო სწავლის თეორიებისა და სტრატეგიების შესასწავლად;
8. მიეცით პედაგოგიურ კვლევებს გამოყენება და სინთეზირება;
9. ისარგებლეთ თქვენი სკოლის გამოცდილებით და რესურსით;
10. სიფრთხილით მოეკიდეთ ზედაპირულ ინიციატივებს .

დანართი N 1

პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა

ძვირფასო კოლეგებო, მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად გაიღრმავოთ თქვენი პროფესიული ცოდნა შემდეგ საკითხებზე

NN	პროფესიული ჩამონათვალი	საჭიროებების	რიგი თობა 1.2.3. ... და ა.შ.	არჩეული მეთოდი (ტრენინგი, გამოცდილების გაზიარება, სტატიის გაცნობა, თვითგანვითარება)	შენიშვნა
1	კურიკულუმის დაგეგმვა				
2	თემის დაგეგმვა				
3	სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის დაგეგმვა				
4	თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვა				
5	სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ხერხები				
6	კლასის მართვა				
7	სწავლების დიფერენცირება/ინდივიდუალიზაცია.				
8	მოსწავლეთა შედეგების შეფასება და ანალიზი				
9	მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კონტროლი, კორექცია და რემედიაცია				
10	საგაკვეთილო მიზნების ფორმულირება				
11	მიზნის მისაღწევი საქმიანობების, მეთოდების შერჩევა				
12	პრობლემური საკითხების ფორმულირება/ განსაზღვრა				
13	მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.				
14	მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა.				
15	მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ორგანიზება.				

16	მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება.			
17	მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა ფორმის შერჩევა და გამოყენება.			
18	ინტეგრირებული თემების განსაზღვრა			
19	გაკვეთილისათვის სასწავლო რესურსების, მასალების შერჩევა.			
20	ელექტრონული რესურსების შერჩევა და გამოყენება			
21	პედაგოგიური კვლევების ჩატარება			
22	საკუთარი საქმიანობის შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა			
23	მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი საკლებო და საწრეო მუშაობის მართვა			

შენიშვნა: როგორ დავადგინოთ ჩვენი საჭიროებები? ამისათვის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს, თუნდაც მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი, ხარისხის მართვის ჯგუფისა თუ კოლეგების მიერ მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი და სხვა. მაგრამ მასწავლებელს ყველა გარედან შემოთავაზებული რეკომენდაციის ექვექვე დაყენება შეუძლია, თუ თავად არ დარწმუნდება იმაში, რა სჭირდება მას სწავლების უკეთ წარმართვისათვის.

დანართი N 2 და დანართი N3-ზე მუშაობისას პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობს, უღრმავდება საკუთარ საქმიანობას, აჯერებს სხვადასხვა მონაცემს (მაგალითად, მოსწავლეთა მიღწევებს, კოლეგების რეკომენდაციებს ურთიერთდასწრების შემდეგ და ა.შ.). საბოლოოდ, შევსებული ცხრილის გადახედვა მას აძლევს სურათს, სად, რომელ სფეროში სჭირდება გაძლიერება. სწორედ ამის შემდეგ შეუძლია მასწავლებელს დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარების პროცესი.

- პროფესიული განვითარების რომელ ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას პასუხი ჩაწერეთ ცხრილის მეორე სვეტში). თვითგანათლება.
- თეორიული სემინარები / ლექციები.
- ტრენინგები.
- ინდივიდუალური კონსულტაციები.
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.
- გაკვეთილზე კოლეგის / კოლეგების დასწრება და კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზი.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფში მუშაობა

